გამოცემის 40 წელი

საბჭოთა ხელოვნება

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
ქინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

№ 11 •1964

ე. ბარლახი — ავტოპორტრეტი

ერნსტ ბარლახი

აკადემიკოსი

გიორგი ჩუბინაშვილი

ოცდახუთი წლის წინ გარდაიცვალა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მოქანდაკე ერნსტ ბარლახი. თაობამ, რომელსაც ბარლახი ეკუთვნოდა, მოგვცა ბევრი სხვა შემოქმედიც. თვითეული მათგანი მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყო იმდროინდელი ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობასთან, თუმცა არც ერთი არ ეკუთვნოდა მხოლოდ ერთ რომელსამე მიმდინარეობას. მათი შემოქმედების საერთო მიმართულება ადამიანის განცდათა ჩვენება, გამომსახველობა იყო.

ბარლახის, როგორც შემოქმედის, ჩამოყალიბების გზა მეტად ხანგრძლივი და მძიმე იყო. მხოლოდ ოთხ ათეულ წელს მიღწეულმა შეძლო ნათლად გაეცნობიერებინა, თუ რისი თქმა სურდა და როგორ უნდა ეთქვა ეს როგორც მოქანდაკეს.

ამ ხნიდან ბარლახის შემოქმედება ქანდაკებაში, აგრეთვე გრაფიკასა და დრამატურგიაში, რომელთაც იგი თავისუფალ დროს სათანადო ყურადღებას უთმობდა, სრულიად გარკვეული მიმართულებით ვითარდება და დრამატული დაძაბულობით ხასიათდება. შემოქმედების პროცესში ბარლახი დიდ დროს ანდომებს ნაწარმოების თემის შერჩევას; ზოგჯერ კი რამდენიმე წლის შემდეგაც უბრუნდება ერთხელ უკვე გადაჭრილ ამოცანას. ადამიანის განცდების, მისი შინაგანი ცხოვრების გამოხატვა თავიდანვე წარმოადგენდა ბარლახის შემოქმედებითი ძიების მყარ თვისებას. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ იქცა იგი ნამდვილ შემოქმედად და დამოუკიდებელ მოქანდაკედ, მხოლოდ მას შემდეგ დაკმაყოფილდა მიღწეულით, როცა ექსპრესიულობის ამოცანის პლასტიკური გადაწყვეტის საკუთარ გზასა და ხერხებს მიაგნო.

ბარლახი დაიბადა 1870 წლის 2 იანვარს. მამამისი ექიმი-პრაქტიკოსი იყო და ხშირად, ავადმყოფთან გამოძახებისას, პატარა ბიჭუნა სოფლიდან სოფელში თან დაჰყავდა. თავის ავტობიოგრაფიაში ბარლახი იგონებს: „მე ვეცნობოდი დიდსა და პატარას, გლეხსა და ბატონს, ვხედავდი ადამიანებსა და ნივთებს მაღალ და დაბალ ჭერქვეშ, და ვეჩვეოდი მოთმინებასა და ლოდინს, ვინაიდან ექიმ ბარლახს ავადმყოფის ლოგინთან ავიწყდებოდა გათოშილი ცხენები, მეეტლეცა და ბავშვებიც". ასე ეცნობოდა პატარა ბარლახი სამყაროს, ადამიანთა ურთიერთობას, მწუხარებასა და დარდს. „მე ვფიქრობ, — დასძენს იგი — აღზრდის საუკეთესო საშუალება კეთილი საქმის მაგალითია, და ბავშვს, თვალისა და ყურის გარდა, აღქმის კიდევ სხვა ორგანოებიც აქვს.[1]

[1] Ein selbsterzählts Leben. München. Piper, 1948. გვ. 11—12

ე. ბარლახი შურისმაძიებელი (1910. წ.)

უფრო მოზრდილ ასაკში ბარლახს იტაცებს ბუნების სურათები — განსაკუთრებული განათება მზის ჩასვლისას, ქარიშხლის დროს; პეიზაჟის სილამაზე, იტაცებს იმდენად, რომ მას ავიწყდება საკუთარი თავი, განსაკუთრებით კი — ადამიანის ტანჯვა-ვაება. ბუნების წიაღში — მისივე სიტყვებით — იგი მოქმედებდა მისდაუნებურად და თითქმის სრულიად შეუგნებლად; და „მავიწყდებოდა, რომ თვით მეც სხვა არა ვიყავი რა, თუ არ შვილი ვაებისა". ბარლახი მოგვითხრობს რამდენიმე შემთხვევას, რომელთაც განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე და დაასკვნის: „ასეთი შემთხვევების შემდეგ მე კარგა ხნის განმავლობაში აღარ ვვარგოდი ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის". ყოველივე ამისა და აგრეთვე სკოლაში განცდილი ზოგიერთი ეპიზოდის გავლენით „ჩემში ისახებოდა რაღაც ისეთი, რაც გარკვეული სახით ჩამოყალიბებას მოითხოვდა და რაც ჩემივე მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო". შემოქმედებისადმი ასეთი სწრაფვა

ე. ბარლახი სასოწარკვეთა და აღშფოთება (ქსილოგრაფია 1919)

განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა უკვე მამის სიკვდილის შემდეგ, როცა ბარლახი 14 წლისა იყო. ამ ხანებში იგი ხან ხატავს, ხან ძერწავს, ხეზე და ქვაზეც კი მუშაობს, ხან ლექსებსა და მოთხრობებს თხზავს.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 18 წლის ბარლახი მისმა მეურვემ ჰამბურგის სახელოსნო სკოლაში შეიყვანა, რათა მომავალში მას, როგორც უფროს ვაჟს, ოჯახის რჩენა შესძლებოდა. სახელოსნოში მკაცრად ეკიდებოდნენ ხატვისა და ქანდაკების სწავლებას; ხოლო კომპოზიციაში მოსწავლეებს სრული თავისუფლება ეძლეოდათ. სწავლების ასეთ მეთოდებს ბარლახი დიდი მადლიერებით იგონებს. სასწავლებელში სტუდენტთა ერთმა ნაწილმა — მომავალმა მოქანდაკეებმა — სკოლის გარეშე ნატურიდან ხატვის ჯგუფიც ჩამოაყალიბეს. გარდა ამისა ბარლახი ასრულებდა უამრავ ჩანახატებს ქუჩებში. დიდი ნებისყოფისა და შრომისუნარიანობის წყალობით იგი მალე დრეზდენის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. აკადემია 1895 წელს დაამთავრა. მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო დახრილი ქალის ფიგურა, რომელიც ბალახს კრეფს, სოფლად ნანახი ნატურის მიხედვით. ამის შემდეგ ბარლახმა ორჯერ რამდენიმე თვე დაჰყო პარიზში. აქ იგი განსაკუთრებით ლუვრმა გაიტაცა. ლუვრის მუზეუმში იჯდა „ხოლმე იგი მთელი დღეები, კვირები, თვეები". მაგრამ უფრო ხშირად „ქუჩებში ხეტიალის დროს ამიცეკვდებოდა ხოლმე ფანქარი — მოუთმენლობისაგან" და ისიც უამრავ ჩანახატებს აკეთებდა. „მაგრამ — წერს ბარლახი 1896 წლის გაზაფხულზე, როცა მან პარიზი დატოვა — მე მთლად იგივე დავრჩი, რაც ვიყავი; ვერც ვერაფერი ვისწავლე და ვერც ვერაფერი დავივიწყე".

ბარლახის შემოქმედების მომდევნო ათი წელი მეტად რთულ ძიებათა წლებია, წლები, როდესაც ბარლახი თავის მოზღვავებულ განცდათა გამოხატვის საშუალებებს ეძებს. ამ ხანებში მუშაობს დრამატულ ნაწარმოებებზე (რომელთაც დასრულებული ფორმა მოგვიანებით მიიღეს); ასრულებს სხვადასხვა ნახევრადსამრეწველო კერამიკულ დაკვეთებს; ნახევარი წლის განმავლობაში გატაცებით სწავლობს ხორის კერამიკულ სკოლაში, ვესტერვალდეში; მონაწილეობს გამოფენებზეც. მაგრამ მისთვის მთავარი მაინც ამ წლებში საკუთარი განცდების გამომხატველი ფორმების ძიებაა. ბარლახი იგონებს: „დრეზდენსა და პარიზში მე თავაუღებლივ ვხატავდი; ვგავდი კაცს, რომელიც განურჩევლად ესვრის თოფს ხან რას და ხან რას. ასეთი დასაწყისი ძალზე მოსაწყენია. ბოლოსდაბოლოს, მე ყველა საგანი ზეპირად ვიცოდი. და აი, ერთხელ როცა ერთ მონადირეს ვხატავდი ფრიდრიხსროდაში, დავინახე სრულიად მარტივი ფორმა. იქ, სადაც უწინ მჭირდებოდა ათი ხაზი, ახლა საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ სამი. ეს იყო ელვისებური წინსვლა. მე უკვე შემიძლია თამამად მივუჯდე ქაღალდს".[2] „გაუბედავად დავიწყე იმის გამოტოვება, რასაც არ შეეძლო ბუნდოვანი და გაუგებარი ნათელი და გასაგები გაეხადა, ანდა სასურველი ზემოქმედება გაეძლიერებინა. მე უკვე აღარ ვიყავი ხილული სამყაროს მონა. ზოგჯერ გამიელვებდა ხოლმე თავხედური აზრი სამყაროს მოწესრიგების შესახებ".

1906 წელს ბარლახი, თავის ძმებთან ერთად, ოჯახის მძიმე მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად რუსეთში გაემგზავრა სამუშაოდ, ამ მოგზაურობამ ბოლო მოუღო ბარლახის მწვავე ძიებებს. „მე გამომაცოცხლა ნეტარად გაღვიძებულის ბედნიერებამ, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვდა მომაკვდავის ტანჯვა-ვაება. რუსეთმა მომცა ახალი, თავისი ფიგურები". და როცა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბარლახმა პირველი ორი მათხოვრის კეთება დაიწყო, „მათხოვრებისა, რომლებიც ჩემთვის სიმბოლო იყო ცის ანაბარა დარ-

[2] Barlach im Gespräch, Insel-Ausgabe, S. 7; ციტირებულია: Barlach, Das graphische Werk, 1958. S. 17 Note 2.).

ჩენილი კაცისა, ჩემში კვლავ განახლდა ძველი ეჭვები: იქნება თუ არა ეს, ბოლოსდაბოლოს, ნამდვილი პლასტიკა, თუ ისევ მხოლოდ მოდელირება?..''

ამ სიტყვებში გახსნილია მთელი ბარლახი: მკაფიოდ გააზრებული ამოცანა და განუზომელი მომთხოვნელობა ამ ამოცანის გადასაწყვეტად. იგი ყველაფერს კარგად შეიგრძნობს, რაც მის გარშემოა და წვდება კიდეც: ,,შენ ძალგიძს, ყოველგვარი შიშისა და სიმხდალის გარეშე, გამოსახო ყოველივე ის, რაც შენია, ყველაზე გარეგნული, ყველაზე ინტიმური რამ: ფუსტი კეთილმსახურებისა და გრიმასი მძვინვარებისა. ყველაფრისთვის არსებობს გამოსახვის შესაძლებლობა''.

1907 წელს ბერლინში ბარლახმა გამოფენაზე გამოიტანა მათხოვრის ორი ფიფურის ფიგურა, რომელთაც დიდი მოწონება ხვდა სკულპტორთა შორის. ამან გზა გაუხსნა ბარლახს შემდგომი მუშაობისათვის. ბრმა რუსი მათხოვარი მიწაზე ზის, ოდნავ უკან გადახრილი. მუხლებს შორის ხელში ქუდი უჭირავს სამწყალოდ გაშვერილი. თბილი დაბამბული არმიაკი ფეხებსაც ფარავს მთელი ფიგურა ერთიანი ბლოკია: სავსებით დასრულებული, მკაფიოდ ფრონტალური პლასტიკაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველი მისი მხარე დამუშავებულია.

ასევე დასრულებული და მეტად თავისებურია მეორე ფიგურაც: რუსი დედაკაცი, რომელიც მიწაზე ზის, გაწვდილი ხელით მოწყალებას ითხოვს. სკულპტორმა აქაც ერთიანი ბლოკი შექმნა — თავით ფეხამდე შეფუთვნილი ფიგურა, კომპოზიცია, რომელიც ყოველი მხრიდან დასრულებულია. (ორთავე ეს ფიგურა ,,სიმბოლოა ცის ანაბარა დარჩენილი კაცისა'', ე. ი. ესაა გამოხატულება ტანჯვა-წამებისა, მორჩილებისა, ადამიანთა საერთო ბედისა).

ბარლახის, უკვე დახელოვნებული შემოქმედის ამ პირველი წლების ფიგურებს, რომლებიც, უმეტესად, მჯდომარე პოზითაა გადმოცემული და დიდ ერთიან მასიურ მოცულობებს წარმოადგენენ (მჯდომარე მწყემსი, მომღერალი ქალები, მგზავრი, შეშფოთებული ქალი და სხვ.). მოპყვა ემოციურად ძალზე დამაჯერებელი, ძლიერი, თავისი მოცულობით ასეთივე მასიური ფიგურები. ამ ფიგურებში გამოხატულია ადამიანის ესა თუ ის მოგომარეობა, ესა თუ ის განცდა. დამახასიათებელია სახელწოდებები, რომლებიც ამ ფიგურებს შეარქვეს (თუმცა ზოგი მათგანი დროდადრო შეუცვლიათ) — შურისმაძიებელი; პანიკური შიში; კაცი, რომელიც ხმალს იწვდის; ეკსტაზი და ა. შ. ბარლახი, ახლაც ისევე, როგორც ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში, თავის ნაწარმოებებს აკეთებს ხისგან და თიხისგან; ამათ გარდა, ზოგჯერ იყენებს კერამიკას, ხოლო უფრო მოგვიანებით — ბრინჯაოსაც. და თუმცა ფიგურები ზომით არ არის დიდი — დაახლოებით 15, 25, 50 სმ (იშვიათად უფრო მეტიც) — ისინი მუდამ მონუმენტურადაა გადაწყვეტილი; სხვათაშორის, გვიან ხანებში ბარლახი ერთსადაიმავე კომპოზიციას ზოგჯერ ორი სხვადასხვა მასალისგან აკეთებს — ხისგან და ბრინჯაოსგან; ანდა კლინკერისგან და ბრინჯაოსაგან. ასეთ შემთხვევაში დამუშავებაც განსხვავებულია. ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ქანდაკება დეტალურადაა დამუშავებული, მას გლუვი ზედაპირი აქვს, და არსად არ ჩანს მუშაობის პროცესის კვალი: მაშინ როცა ხის ქანდაკებაზე ეს კვალი ძირითად, საკმაოდ უხეშად დამუშავებულ ფორმათა ზედაპირზეც, ადვილად შეინიშნება. მაინცდამაინც ბარლახი არ უწევდა ანგარიშს ხის სტრუქტურის აგებულების თავისებურებებს. მაგრამ ზედაპირის დამუშავება წარმოგვიჩენს მასალას, ხე — მისი სხვადასხვა ჯიში, — ძირითადი მასალა იყო, რომელსაც ბარლახი იყენებდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ეს მასალა საშუალებას აძლევდა ბარლახს, ისევე, როგორც ხეზე მომუშავე, შუასაუკუნეების ვერმანელ ოსტატებს, გამოევლინა მკვეთრად გამოსახული წიბოები, მომრგვალებული სიბრტყეები, ჩავარდნილი ღრმულები, ყველაფერი ის, რაც ქმნის განათებული და მთლად ჩაჩრდილული ნაწილების ძლიერ კონტრასტებს.

ამრიგად, იმ ხანებში, რომელიც წინ უსწრებდა პირველ მსოფლიო ომის დაწყებას, ნაწილობრივ კი შემდგომშიც, ბარლახი ძერწავს არა მარტო ცალკეულ ფიგურებს, არამედ ფიგურათა ჯგუფებსაც, რელიეფებსაც, რომლებშიაც მკაფიოდაა გამოვლენილი გამოსახულებათა მოცულობითი თავისებურებანი და განცდათა ექსპრესია.

პირველი მსოფლიო ომი დიდი ცეზურაა ბარლახის შემოქმედებაში. ამ წლებში იგი ძირითადად ყურადღებას უთმობს გრაფიკულ კომპოზიციებს და დრამატულ ნაწარმოებებს, რომელთა ილუსტრაციებს ზოგჯერ თვითონვე ასრულებს (ლითოგრაფია ან ქსილოგრაფია). ამ ნაწარმოებებში კარგადაა ასახული ავტორის დამოკიდებულება ომისადმი, ასახულია ყველაფერი ის, რაც ომს მოაქვს: ჭირი და უბედურება, ნგრევა, დარბევა, და ბოლოს, სასოწარკვეთილება და აღშფოთება. ბარლახი ქმნის როგორც გრავიურების ცალკეულ ფურცლებს, ისე ილუსტრაციებსაც ლიტერატურულ ნაწარმოებთათვის, რომელთა საშუალებით იგი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას იმ წლების მოვლენებისადმი. ასე მაგალითად, ბარლახის ათ გრავიურას (ხეზე) რეინხოლდ ფონ ვალტერის პოემისათვის ,,თავი'', შემდეგი წარწერები აქვს: მაწყევარი დედა-

ე. ბარლახი

შეხვედრა. 1926 (ვარიანტი. ბრინჯაო)

ე. ბარლახი. [illegible] ძეგლი მაგდებურგში (1929, ხე)

ბერი; დავრდომილი, ბრმა და მთხოვარა ქალი; მისი უდიდებულესობა მათხოვარი; მათრახი; განკიცხულნი; რუსი მთხოვარა დედაკაცი; სასოწარკვეთილება და აღშფოთება; დავრდომილი მათხოვარი; გაჩანაგება. ეს წარწერები ნათლად მეტყველებს, როგორი იყო ბარლახის დამოკიდებულება ომისადმი, ომის პროცესისადმი და მისი შედეგებისადმი. გრავიურაზე „მათრახი“ გამოსახულია უზარმაზარი გააფთრებული ფიგურა, რომელიც მათრახს სცემს მის ირგვლივ შეყუჟულ პაწია კაცუნებს. ძუნწი ნახატით, სულ რამდენიმე ხაზით, რომელიც აქა-იქ ერთვის კონტურებს, ზოგან თითქმის უბრალო მონახაზით მეტად მკაფიოდაა გადმოცემული თემა. გრავიურა — „სასოწარკვეთილება და აღშფოთება“, შემდეგ სურათს გვიხატავს: მიწაზე ზის ფეხებგაშოტილი დედაკაცი, მთლად შალში გახვეული, შიშით მოკუნტული და აცახცახებული; ზევიდან მას გადაფარებია მამაკაცის ფიგურა — უბრალო გლეხი, გრძელი ჩამოფლეთილი პერანგის ამარა, რომელსაც მარჯვენა ხელი, იდაყვამდე გაშიშვლებული, ზევით აუშვერია მუქარის ნიშნად: იგი წყევლა-კრულვას უთვლის ღმერთს. ორი ფიგურა: სასოწარკვეთილი, განწირული ქალი და აღშფოთებული, ამბოხებული მამაკაცი!

ამავე ხანას ეკუთვნის ბარლახის პიესები — „საბრალო კუზენი“ (1919), 34 ნახატით, და „ნაპოვნი ბავშვი“ (1922), 20 ნახატით (ლითოგრაფიები). ორივე ნაწარმოებში ასახულია ომისშემდგომი გამხეცებული სამყარო; ნაჩვენებია — როგორ სპობს ადამიანი ადამიანს და რამდენად აუცილებელია პასუხისმგებლობის გრძნობა და მოწყალება. ის, რასაც ბარლახი თავის სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც ავითარებდა. პიესები, ისევე როგორც მისი ავტობიოგრაფია, მეტად თავისებური, ცოცხალი და ფერადოვანი ენითაა დაწერილი.

ბარლახის ომისშემდგომი ხანის პირველი წლების ქანდაკება თემატიკურად იმავე პრობლემებს ასახავს: შიში და ძრწოლა ცხოვრების კატასტროფულობის, ადამიანთა გადაგვარების გამო, აგრეთვე ჩვენება იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი. ქანდაკებათა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია ძლიერი მოძრაობა, მეორე ჯგუფი — თითქო მთლად გაშეშებულია. „შურისმაძიებელი“ — თემა, რომელიც ადრეც იზიდავდა ბარლახს, ახლა (1922) მას ახლებურად აქვს დამუშავებული: დაუცხრომელი, დაუოკებელი წინ სწრაფვა და ზეამართული, მოსაქნევად გამზადებული ხმალი. ასეთსავე მძაფრ მოძრაობაშია მოცემული „ლტოლვილი“ (1920), რომელსაც აცახცახებული ხელები მკერდზე მიუკრავს. „სიკვდილი“ (1925) წარმოდგენილია კომპაქტური ჯგუფის სახით — პირდაპირ მიწაზე მჯდომი ბერიკაცი და დედაბერი, რომლებიც, თითქო ეალერსებიან მათ მუხლებზე დასვენებულ ცხედარს. ცალკეული მონუმენტური ფიგურები, როგორიცაა, მაგალითად, მთლად „გოდებად“ ქცეული ქალი (1923), ანდა „მოლოდინი“ (1924) — მამაკაცის ფიგურა, განზე გამდგარი ფეხებით — ერთიან ბლოკებს ქმნიან; „თავზარი“ (1925) წარმოდგენილია ქალის სახით, რომელიც მუხლებზე დაჩოქილია და ხელები ღაწვებზე წაუშლია; „ასკეტის“ (1925) ანდა „მეოცნების“ (1925) ფიგურები ხისგანაა გამოკვეთილი, როგორც ერთიანი პირობითად დრაპირებული მოცულობები. ასკეტი მუხლებზეა დაჩოქილი, იგი მთლად შინაგან ხმას დაუმორჩილებია. მეოცნებე კი ნებიერად განრთხმულა ზურგზე, ხელები თავქვეშ ამოუდევს და თვალები ზეაღუპყრია. თავისი პლასტიკური გადაწყვეტით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სკულპტურული ჯგუფი „პაემანი“ (1926): ეს არის ორი ფიგურა (ზოგს მიაჩნია — ქრისტე და თომა მოციქული) — მასწავლებელი, რომელიც სწორად დგას, გამართული, და მოწაფე, მხრებში ოდნავ მოხრილი. იგი თვალებში შესცქერის მასწავლებელს, თითქოს პატიებას ითხოვდეს თავისი ეჭვების გამო; მოწაფე მხრებზე მოხვევია მასწავლებელს, ამ უკანასკნელს კი, გამხნევების ნიშნად, იღლიებქვეშ წაუვლია ხელები თავისი შეგირდისათვის. ჩვენს წინაა ორი დამოუკიდებელი ფიგურა, ხელებით გადაჭდობილნი, ორთავე, რა თქმა უნდა, სრულიად პირობითად დრაპირებული. ფიგურათა ეს ჯგუფი ბარლახმა არა მარტო ხისგან (1926), არამედ ბრინჯაოსგანაც შეასრულა (1926). ამ ორი ვარიანტის შედარებისას კარგად ჩანს სხვადასხვა მასალისადმი სკულპტორის განსხვავებული მიდგომა. ხის სკულპტურაში — მახვილი, წაწვეტილი კუთხეები, მკვეთრად გამოვლენილი წიბოებია, ასეა დამუშავებული მასწავლებლის ცხვირი, ტუჩები, თვალებიც კი; მის თმას და ოდნავ შესამჩნევ წვერს, სამოსის ნაკეცებსაც კი წაწვეტილი კიდეები აქვს. ამგვარი ფორმებით გამოირჩევა მოწაფის ფიგურაც. სულ სხვაა ბრინჯაოს ჯგუფი: აქ ცხვირი, ტუჩები, თმა, წვერი რბილადაა მომრგვალებული, ხოლო მოწაფის თავისა და პირისახის მომრგვალება კიდევ მეტ სიმძაფრეს მატებს მის გამომეტყველებას — მონანიების გრძნობასა და შეცდომის გამოსწორების წყურვილს.

ოციანი წლების დასაწყისის დაძმეული და დამზრალი გერმანიის სავალალო მდგომარეობა ბარლახის სკულპტურაშიც აისახა. ასეთია მოქანდაკის სკულპტურული ჯგუფი — დამშეული ბალღი, დაუძლურებული დედის მუხლებზე (1924). მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრად და ძლიერად წარმოგვიდგინა ეს თემა ბარლახმა ხეზე შესრულებულ გრავიურებში: „ბავშვთა სიკვდილიანობა“, „ჯვარ-საფლავთა მძარცველები“, „მომაკვდავი ბალღი და ქალი“, „ძაღლზე ნადირობა“ და მრავალი სხვა. ამ გრავიურებში ნაჩვენებია შემაძრწუნებელი საშინელება — უკიდურესობამდე მისული ხალხი საფლავებიდან ხის ჯვრებს და კუბოს ფიცრებს ეზიდება სათ-

ბობად, გაძვალტყავებულ ძაღლებს დასდევს საჭმელად და ა. შ.

მაგრამ ამ პერიოდში ბარლახის პლასტიკური ნიჭი და უნარი მთელი სიცხადით გამოვლინდა იმ ძეგლებში, რომლებიც ომში დაღუპულ გმირთა უკვდავსაყოფად შექმნა.

ქალაქ გიუსტროვში, სადაც იგი 1906 წელს გადასახლდა და თითქმის სრულ მარტოობაში ცხოვრობდა, ბარლახმა ქალაქის ტაძრისათვის 1927 წელს შექმნა სკულპტურული ფიგურა. ბრინჯაოს ფიგურა — სუდარაში გახვეული, მწვავე ტკივილებისაგან მჭიდროდ მოკუმული ტუჩებითა და დახუჭული თვალებით, ტაძარში იყო დაკიდული 1937 წლამდე, ვიდრე იგი ნაცისტებმა არ გაანადგურეს. 1928 წელს, ქალაქ კილისათვის ბარლახმა, აგრეთვე ბრინჯაოსგან, გააკეთა ქვის პოსტამენტზე შემდგარი ველური ნადირი, ხოლო მასზე — განრისხებული ანგელოზი, რომელსაც ვერტიკალურად აწვდილი უზარმაზარი ხმალი უპყრია ხელთ. ეს ძეგლი, რომელიც ქალაქის უნივერსიტეტის ეკლესიის წინ იდგა, ჰიტლერელებმა მოარღვიეს, ისევე, როგორც მეორე ცნობილი ძეგლი ჰამბურგში (1932). ეს უკანასკნელი მდინარის პირას აღმართული, წარმოადგენდა ქვის დიდ ბრტყელ კედელს, სიმაღლით ხუთ მეტრამდე; კედლის ზედაპირზე მხოლოდ ოდნავ ჩაჭრილი კონტურით გამოსახული იყო ქალისა და მასზე მიყრდნობილი გოგონას ფიგურები, ორთავე პროფილში. ფიგურათა ჯგუფი, ხის მოდელის მიხედვით, 1,65 მ. სიმაღლისა იყო.

დაბოლოს, კიდევ ერთი ძეგლი ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად მაგდებურგში, მეტად რთული და მრავალმხრივ აწონილ-დაწონილი. ეს ძეგლი, რომელიც მაგდებურგის ტაძარში დაიდგა, ჩაფიქრებული ქონდა ბარლახს 1927 წელს. ამაზე მეტყველებს კომპოზიციურად სავსებით დასრულებული დიდი ნახატი (76×64 სმ, ნახშირი), თუმცა სკულპტურული ჯგუფი — ჯერ ესკიზი, თაბაშირისგან, და შემდეგ მისი საბოლოო ვარიანტი, ხისგან, 1929 წელს არის შესრულებული.

ნაცისტებმა ბარლახის ეს ძეგლიც, ისე როგორც დაღუპულ მებრძოლთა უკვდავსაყოფად შექმნილი სხვა მისი ძეგლებიც, აიღეს. ბარლახმა კარგად იცოდა ნაცისტთა ასეთი დამოკიდებულება მისი შემოქმედებისადმი და ამიტომაც იყო, რომ მან თავის ჩანაფიქრს მოკლე განმარტებები წაუმძღვარა და ცალკეულ ფიგურათა დახასიათებაც მოგვცა. „ისე ჩანს, თითქოს ამ ძეგლის გარეგნული სიმშვიდე უნდა ანელებდეს შთაბეჭდილებას; თითქოს არქიტექტონიკური აგებულება, იმ ადგილის გათვალისწინება, სადაც ეს ძეგლი უნდა დაიდგას და რამდენადმე საკრალური პოზაც კი, გზას გვიბნევს; თითქოს სამწილადი ზესწრაფვა, რომელიც დანაწევრებულია ქვედა ნახევარფიგურების თავებითა და ზედა ფიგურების ხელებით შექმნილი ორი ჰორიზონტალით, უნდა გავიგოთ არა როგორც გამოხატულება მტკიცე სოლიდარობისა, არამედ როგორც ორი დაპირისპირებულობის ერთიანობისადმი დამორჩილება... დრამატული დაძაბულობა აქ პლასტიკურ გამომსახველობას იძენს და, მაშასადამე, ზემოქმედებას ვერ მოახდენს მასზე, ვისი თვალიც არაპლასტიკურის აღქმასაა მიჩვეული და ვისაც გამოხატულება მხოლოდ ნატურალისტურად უნდა მიაწოდო. ამ გარემოების გამო პერსპექტივები იმისა, რომ ჩემ ძეგლს მიიღებენ და შეიწყნარებენ, მეტად საეჭვოდ გამოიყურება... საფლავზე აღმართულია სამი მეომრის ფიგურა, რომლებიც მათზე ადრე დაღუპულთა საფლავის ჯვარს შემოჭდობიან. სამთავე ფიგურა ისეთ პოზაშია წარმოდგენილი, რომ გჯერა — ისინი გაუძლებენ, გადარჩებიან. შუაში ახალგაზრდა ბელადის ფიგურაა. იგი თუმცა თავშია დაჭრილი, მაინც გაბედულად შესცქერის სიკვდილს თვალებში. მისგან მარჯვნივ ხანშიშესული ლანდშტურმისტია, რომელიც უფრო ღრმად ჩაფლულა სიკვდილის მორევში; მარცხნივ კი დგას ჯერ კიდევ ნორჩი ჭაბუკი, სულ ახალბედა ამ შემზარავ სამყაროში, და მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოუცდელია და ოდნავ შემკრთალიც, მაინც უძლებს ამ მძიმე გამოცდას. ბრძოლის ქარიშხალს გამოხატავს ჯარისკაცის ჩონჩხი — თავზე ფოლადის მუზარადით; მისგან მარჯვნივ და მარცხნივ კიდევ ორი ნახევარფიგურაა — მათი, ჯერ კიდევ ფეხზე მდგომი, თანამებრძოლი [illegible] მელთაც გაიარეს ყველა საფეხური ტანჯვა-წამებისა, [illegible] ძლივს-ღა ეტყობათ სიცოცხლის ნიშანწყალი. თუ გვსურს სიმბოლურად გავიაზროთ მთელი ნაწარმოები, უნდა ითქვას: აქ წარმოდგენილია უბედურება, სიკვდილი და სასოწარკვეთილება, როგორც მაჩვენებელნი თავგანწირვის ჭეშმარიტი მნიშვნელობისა...“ [3]

ბარლახი ითვალისწინებს მთელ ანსამბლს — მაგდებურგის მე-13 საუკუნის გუთურ ტაძარს, მასში აღმართულ ძეგლს და აღნიშნავს თანაფარდობათა დაცვის აუცილებლობას. „ძეგლის საერთო კონცეფციის უცილობელი უძრაობა შემოქმედის თვითდამორჩილების შედეგია; იგი შედეგია შემოქმედის სწრაფვისა, მიაღწიოს რაც შეიძლება უკეთეს ხილვადობას და განსაკუთრებულ სიმშვიდეს, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს. ძეგლი, რომელიც აღმართულია დაღუპულთა უკვდავსაყოფად, არ უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ ერთ თაობას“. [4]

[3] Ernst Barlach. Fragmente weitläufiger Auslassungen Bildende Kunst;“ 1957, № [illegible], გვ. [illegible] და [illegible].

[4] იქვე, გვ. 388.

ე. ბარლახი

საშინელება (1925, თაბაშირი)

ე. ბარლახი — „წიგნს კითხულობს" (1936, ბრინჯაო)

1936 წელს მაგდებურგის ძეგლი კეტე კოლვიცმა მოინახულა (ბერლინში, კრონპრინცპალეს მუზეუმის ქვედა სართულში, რომელიც ფართო მასებისათვის მიუწვდომელი იყო). მხატვარმა ქალმა თავის დღიურში შემდეგი სიტყვები მიუძღვნა ბარლახის ამ ნამუშევარს: „იგი ისეთსავე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორიც შემექმნა მისი რეპროდუქციების მიხედვით, შესაძლოა უფრო ძლიერსაც. მასში ნამდვილად აღბეჭდილია 1914-1918 წლების ომის განცდა. რაც დაუშვებელია, როგორც ბუნებრივი, მესამე რეიხის მიმდევართათვის, ის ჩემთვის და კიდევ სხვა მრავალთათვის ჭეშმარიტია. როცა ერთი ფიგურიდან თვალი მეორე ფიგურაზე გადაგვაქვს, ვხედავთ დუმილს. თუ პირი საერთოდ სალაპარაკოდ აქვს კაცს — ქ ტუჩები ისე მჭიდროდაა მოკუმული, თითქო მათ არასდროს არ გაუცინიათ. დედის პირისახე კი თავშალითაა დაფარული. ყოჩაღ, ბარლახ!"[5].

30-იანი წლები ბარლახისათვის, ისევე, როგორც გერმანიის სხვა პროგრესული მხატვრებისათვის, მეტად მძიმე და საბედისწეროც კი იყო. უკვე 1929 წელს ღამით ნაცისტმა ხულიგნებმა ბარლახის ძეგლს კილში ხმალი მოამსხვრიეს, ხოლო 1931 წელს ვეიმარში, კლესა და ფეინინგერის სურათებთან ერთად, ბარლახის ნაწარმოებებიც მოხსნეს გამოფენიდან. 1933 წლიდან კი დაიწყო ბარლახის დაუფარავი დევნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჰიტლერი, გებელსი და ალფრედ როზენბერგი. ეს უკანასკნელი იქამდეც კი მივიდა, რომ ბარლახს „ნახევრად-იდიოტი" შეარქვა[6], შემდეგ პრესაში გაავრცელეს ცნობა, თითქოს ბარლახი ებრაელი იყო, თუმცა მისი გვარი მე-16 საუკუნემდე გვხვდება ჩრდილოეთ გერმანიაში. შემდეგ ბრალად დასდეს ბოლშევიკობა და თითქოს როგორც მხატვარი — „ყოვლად ბოროტი შემრყვნელია".[7] ბარლახის ერთ-ერთმა კოლეგამ მაგდებურგის ძეგლს „გერმანიის შე-

1957 წელს, 20 წლის შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მაგდებურგის ძეგლი თავის პირვანდელ ადგილს დაუბრუნა, ისევე, როგორც ბარლახის სხვა ძეგლებიც.

---

[5] Käthe Kollwitz. Aus Tagebüchern und Briefen. Berlin. 1959. S. 154—155.

[6] Alfred Werner. Ernst Barlach: Artist under a dictatorship „The Art Journal," winter 1962 -1963, vol. XXII, 2, p. 81—87.

[7] Naomi C. A. jackson. Ernst Bariach: gothic modern. „Art News", December. 1955, Vol. 54, № 8, გვ. 66—67.

ე. ბარლახი — ცხრა ფიგურა ბეთჰოვენის ძეგლისათვის (1935, ხე).

მარცხვენელი უწოდა". როდესაც 1934 წლის მიწურულს ძეგლი საბოლოოდ გამოიტანეს ტაძრიდან, ბარლახი ძნისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ „ტაძრის მღვდელი „ფოლადის მუზარადის" დიდად აგრესიული წევრია. ხისი აზრით „პაციფისტური" თემა, რომელიც თურმე ომს ნაწარმოებს შეუთვისებია, სავსებით საკმარისია, რათა ეს ძეგლი მოხსნილ იქნას". [8] შემდგომ წლებში ბარლახს სულ უფრო და უფრო ავიწროებენ. მუზეუმებს ჩამოერთვათ მისი ნაწარმოებები, აიკრძალა მისი პიესა, რომლის პრემიერამ წარმატებით ჩაიარა; გესტაპომ გაანადგურა მისი ნახატების გამოცემის მთელი ტირაჟი (3.800 ეგზემპლარი), იმ მოტივით, რომ „წიგნის შინაარსი დიდ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი მშვიდობიანობისა და წესრიგისათვის"; შემდეგ ბერლინში, საიუბილეო გამოფენიდან — სკულპტურა 200 წლის მანძილზე — ჩამოიღეს ბარლახის, კ. კოლვიცისა და ლემბრუკის ნამუშევრები, და ყველა მათ აეკრძალათ გერმანიაში რომელიმე გამოფენაზე მონაწილეობის მიღება. მოქანდაკე ბიომერმა, გაულეიტერმა, ბარლახს ემიგრირებაც კი ურჩია, მაგრამ ბარლახმა დიდი გულისწყრომით უარყო ეს წინადადება [9]. დაბოლოს, 1937 წელს მიუნხენში მოაწყვეს სპეციალური გამოფენა სათაურით — Entartete Kunst („დეგენერატული ხელოვნება"), რათა საქვეყნოდ გაეთახსირებინათ გერმანული ხელოვნების მოღვაწეები (112 კაცი). გერმანიის 25 მუზეუმს ჩამოართვეს ამ ხელოვანთა ნაწარმოებები, თანაც იკვეხნიდნენ, რომ კონფისკეული იყო თორმეტ ათასამდე გრაფიკული ფურცელი და ხუთ ათასამდე სურათი და სკულპტურა. 1939 წელს შვეიცარიაში ამ ნაწარმოებთა დიდი აუქციონი გამართეს; ნაწარმოებთა ის ნაწილი კი, რომელიც არ გაიყიდა, ბერლინში „სიმბოლური, პროპაგანდისტული მიზნებით" ცეცხლს მისცეს. სულ გაანადგურეს 1004 სურათი და სკულპტურა და 3825 გრაფიკული ფურცელი [10]. ყველა ამ „ღონისძიებას" ბარლახის 381 ნაწარმოები შეეწირა, გრაფიკის ჩათვლით. ამავე ხანებში კი გერმანიის საზღვრებს გარეთ ბარლახის მნიშვნელობა არაერთხელ დადასტურდა: 1933 წელს იგი მიიწვიეს გამოფენაზე ჩიკაგოში, სადაც მისი შემოქმედება წარმოდგენილი იყო სკულპტურით — „მომღერალი მონაზონები"; 1934 წელს ბარლახი ბერკში მიიწვიეს, შემდეგ ნიუ-იორკში; ხოლო 1936 წელს იგი ვენის აკადემიასთან არსებულ ავსტრიელ მოქანდაკეთა ასოციაციის საპატიო წევრად აირჩიეს [11].

მიუხედავად ნაცისტთა ასეთი ვერაგული შემოტევისა, ბარლახს არასოდეს მიუტოვებია მუშაობა თავის სახელოსნოში, რომელიც ნაცისტთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და იშვიათად თუ ესტუმრებოდა ხოლმე ვინმე ბარლახის მეგობართაგან. 1931-32 წლებში ბარლახმა დიდი სამუშაო წამოიწყო: მას განზრახული ჰქონდა ლუბეკში მე-13 საუკუნის ტაძარი უზარმაზარი ფიგურებით (სიმაღლეთ 2 მ) შეემკო. ფიგურები ტაძრის ფასადის ნიშებში უნდა მოთავსებულიყო. განზრახული 16 ფიგურიდან ბარლახმა მხოლოდ სამის დამთავრება მოასწრო და დადგა კიდეც ისინი თავთავის ადგილზე (მათხოვარი ხეიბარი, ქალი ქარში, მომღერალი მორჩილი). ფიგურები კლინკერისგან იყო გამოძერწილი — ბარლახი აქაც ანგარიშს უწევს არქიტექტურას: შენობა აგურისაა. რაღა თქმა უნდა, ნაცისტებმა ყველა ღონე იხმარეს და სკულპტორის ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ მათ იმასაც მიაღწიეს, რომ დამთავრებული ფიგურებიც ჩამოიღეს ტაძრიდან.



ე. ბარლახი დაღუპულ მეომართა ძეგლი მაგდებურგში (დეტალი)

ზემოხსენებული მომღერლის ფიგურა ბარლახს ბრინჯაოსგანაც აქვს გაკეთებული (იგი, უკვე ომისშემდგომ წლებში, მის საფლავზე დადგეს). და თუ ერთმანეთს შევადარებთ სხვადასხვა მასალის — კლინკერისა და ბრინჯაოს ვარიანტებს, დავრწმუნდებით, რომ აქ კომპოზიციის უბრალო დუბლირებასთან არა გვაქვს საქმე. ბარლახი კიდევ განაგრძობს ფიგურაზე მუშაობას. თვით თემა მომღერლისა მოქანდაკეს ადრეც იზიდავდა. 1930 წელს მან 1928 წლის მოდელის მიხედვით, ბრინჯაოსგან გააკეთა მომღერალი მამაკაცის ფიგურა — იგი პირდაპირ მიწაზე ზის, ორივე ხელი ცალ მუხლზე წაუვლია და, თვალებმინაბული, მთლად სიმღერას მისცემია. იგივე თემა ლუბეკის ტაძრისათვის ბარლახს სრულიად ახლებურად აქვს გააზრებული და დამუშავებული.

მეორე მრავალფიგურიანი კომპოზიცია ბარლახმა ბეთჰოვენს მიუძღვნა. ეს არის ხისგან გამოკვეთილი ცხრა ფიგურა. ისინი დიდი კომპოზიტორის მუსიკას დაუტყვევებია. ეს ფიგურები, რომლებიც 1935 წელს არის შესრულებული, მოგვიანებით ჰამბურგელმა მეცენატმა შეიძინა ადგილობრივი მუსიკალური დარბაზისათვის. თვითეული ამ ფიგურათაგანი გაქვავებულა და სმენად ქცეულა. მაგრამ თვითეული თავისებურად აღიქვამს მუსიკას და ამიტომაა, რომ ყოველი მათგანი განსხვავებული ექსტიკულაციით გამოირჩევა — მგზავრი, მოცეკვავე ქალი, ბრმა, ფიგურა, რომელიც რაღაცის მოლოდინშია, ბედსშერიგებული კაცი, დარდისგან გასრესილი ადამიანი და სხვ. ჩვენს წინაშე გრძნობის აღმძვრელი ღრმა მედიტაციის ნიმუშების თავისებური კოლექციაა.

არ არის მართალი, თითქო ბარლახი თავისი შემოქმედების ბოლო ხანებში მხოლოდ ფეხზე მდგომ ფიგურებს ქმნიდა და რომ ფიგურები დამჯდარი პოზით ან შემთხვევითია, ანდა ადრინდელ კომპოზიციათა რეპლიკებია მხოლოდ. ბარლახს

---

[8] ა. ვერნერი, იქვე — გვ. 84. ინგლისური თარგმანი.

[9] იქვე, გვ. 85

[10] Franz Roh. Geschichte der deutschen Kunst von 1900 bis zur Gegenwart, München, 1958, S. 153.

[11] ა. ვერნერი, იქვე, გვ. 84, 85.



ე. ბარლახი ქანდაკებები ლიუბეკის ტაძრის ფასადის ნიშებში (1932 წ.)

ადრეც ჰქონდა ჩაფიქრებული (თითქმის ერთდროულად) საკუთარი სიმღერის ჰანგსმინებებული მამაკაცის ფიგურის შექმნა — ერთი მჯდომარე პოზაში, მეორე კი ფეხზე მდგომი. ასევე თავისი ცხოვრების უკანასკნელი 5 წლის მანძილზე იგი ქმნის ფეხზე მდგომ ფიგურებსაც (ასეთია მისი ძეგლი ბეთ-ჰოვენისადმი მიძღვნილი), და მჯდომარე ფიგურებსაც; თუმცა, მართალია, ზოგი მათგანის შესახებ არსებობს ცნობა, რომ ისინი ადრინდელი მოდელების მიხედვითაა გაკეთებული (მაგალითად, „მიწაზე მჯდომი გოგონა", 1937 წ. ხე). მაგრამ ადრე დამუშავებული თემის ასეთი გახსენება და მისი ახალ მასალაში გადატანა ბარლახის შემოქმედების წინახანებშიც შეინიშნება. ამავე დროს მოქანდაკის უკანასკნელი წლების შემოქმედებაში ჩნდება სრულიად ახალი თემები, რომლებიც აქტუალურ მოვლენათა გამოძახილია. ასეთია „ავი წელიწადი" და „როხროხა დედაბერი" (ფეხზე მდგომი და მჯდომარე ფიგურები). მათ ორთავეს ჰიტლერელთა ეპოქის დაღი აზის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ბარლახი მრავალი წლის განმავლობაში გატაცებით მუშაობდა ომში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავსაყოფად. მას შემდეგ, რაც ამ ძეგლებზე მუშაობა დაამთავრა, იგი კვლავ მიუბრუნდა სრულიად ზოგადი ხასიათისა და მნიშვნელობის ცალკეულ თემებს. და თუ მისი „ნამუშევრები — მეგობარი მწერლის, დოიბლერის, საფლავის ძეგლი ჩამოართვეს ბარლახს[12], უთუოდ იმიტომ, რომ იგი ისევე იყო გადაწყვეტილი, როგორც დაღუპულ მებრძოლთა ძეგლები, რომელთა ხაძდვილი აზრი და დახიშნულება მთლად გააყალბეს ნაცისტებმა. რაც შეეხება ფიგურებს, რომლებიც თითქოსდა ზოგად, განყენებულ თემებს გამოსახავდნენ, ისინი გაუგებარი და მიუწვდომელი იყო ნაცისტ „მეთვალყურეთათვის", რომელნიც ბარლახს მიუჩინეს. ზოგადი თემა ჩანს სახელებში, ასე მაგალითად, „ალი" (1934 წ. ქალის ფიგურა), ანდა „ჩაფიქრებული" (1934 წ.), „მგზავრი ქარში" (1934 წ.) „მოწყურებული" (1936 წ. — ყველა ხისაა). ანდა სხვა მჯდომარე ფიგურები — „დედა, კალთაში პატარა ბალღით" (1936 წ.), „მწყემსი სალამურით" (1936 წ.), „ყინვისგან დამზრალი დედაბერი" (1937 — აგრეთვე ყველა ხისგანაა) და „მკითხველი" (1936 წ. — ბრინჯაო). ამ ფიგურებში მკაფიოდაა ასახული ნაცისტთა ბატონობის მძიმე, შავბნელი დრო. თემის სახელწოდება (მაგ. „ყინვისგან დამზრალი დედაბერი" და სხვ.) აქ სკულპტურის ერთ, მხოლოდ გარეგნულ მხარეს განსაზღვრავს, ძირითადი არსი კი მის ღრმა ფსიქოლოგიურ შინაარსშია.

კ. კოლვიცი 1944 წელს იხსენებდა მხატვარ ლეო ფონ კიონიგის მონაყოლს: „როცა კი ბარლახი თავისი თავშესაფრიდან თვალს მოკრავდა ერთადერთ, ბერლინიდან მომავალ, მატარებელს და ადამიანებს, რომლებიც წინდაუკან საეჭვოდ დასეირნობდნენ მისი სახლის წინ, იგი მაშინვე მიიმალებოდა თავის თავშესაფარში და იქ იჯდა, ვიდრე „სტუმრები" არ გაშორდებოდნენ იქაურობას. მაგრამ ლეო ფონ კიონიგს ბარლახთან არა ერთი და ორი ღამე გაუტარებია. მაშინ ბარლახი სარდაფში ჩარბოდა და ღვინო მოქონდა. მუდამ აქვე იყო ბარლახის პატარა ძაღლი „ბოლლი". კიონიგი ამხნევებდა ბარლახს, ეს მას არ ღლიდა".

უკვე არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ბარლახის მრავალი სკულპტურა თავისებური პროტესტია ნაცისტთა ძალმომრეობის წინააღმდეგ მიმართული. ასეთია, მაგალითად, მოხუცი დედაკაცის ფიგურა, რომელიც მთელი სხეულით უკან გადაზნექილა, ორივე ხელით ღონიერად ჩასჭიდებია თავის მოხრილ მუხლებს და გამომწვევი ხარხარით უმასპინძლდება ნაცისტებს. ანდა ფეხზე მდგომი, გამართული ქალი, რომელიც მზადაა მოკუმული ტუჩებით და ცარიელი ხელებით გაუმკლავდეს „ავ წელიწადს". დამახასიათებელია, რომ ბარლახი ამ ხანებშიც მისდევს მწერლობას. მისი ხელნაწერები, დრამა — „გრაფი ფონ რატცებურგი" და ნოველა — „მოპარული წელიწადი", — თუნუქის კოლოფში ჩაუდვიათ და ბაღში ჩაუმარხიათ, რათა ჩხრეკის დროს გესტაპოელებს არ ჩავარდნოდათ ხელთ.

ბარლახი გარდაიცვალა 1938 წლის 24 ოქტომბერს, როსტოკში კერძო საავადმყოფოში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ბარლახის შემოქმედება ღირსეულად დააფასეს. აღადგინეს მისი ძეგლები; შეიქმნა მისი მემკვიდრეობის არქივი; გამოდის წიგნები, რომლებშიც სრულადაა წარმოდგენილი მისი მხატვრული მემკვიდრეობა, ხოლო სხვადასხვა უნივერსიტეტების ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტებში მუშავდება ცალკეული თემები, მიძღვნილი ბარლახისა და მისი ნაწარმოებებისადმი.

---

[12] ნაომი ჯეკსონი, იქვე, გვ. 66.